თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 4

ქ. თელავი 2021 წლის 28 ივნისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: დავით ღაღანიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ჩაბრაშვილი, ვასილ არაბული, ალექსანდრე კუპატაძე, არჩილ თვალიაშვილი, ირაკლი სულხანიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი მიხეილ სამადაშვილი, ქ.თელავის ქეთევან წამებულის ქ. N7-ის ამხანაგობის თავმჯდომარე სვეტა ნინიკელაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 05 მარტის N14 განკარგულებაში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში

დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. დ. ღაღანიძე

2. ქ. თელავში, ქეთევან წამებულის ქ. N7-ის ამხანაგობის თავმჯდომარის სვეტა ნინიკელაშვილის განცხადების განხილვის შესახებ.

მომხს. დ. ღაღანიძე

მოისმინეს: **1.** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 05 მარტის N14 განკარგულებაში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დავით ღაღანიძემ აღნიშნა, რომ მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი ეხება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელ პროექტებში ცვლილების შეტანის საკითხს. ცვლილების მიზანია სოფ. ლალისყურში განსახორციელებელი პროექტიდან ( სოფელში არსებული სანიაღვრე და სარწყავი არხების მოწესრიგება) დარჩენილი თანხის ათვისება. ხსენებული პროექტის განსახორციელებლად საჭიროა 9175 ლარი, ხოლო გამოყოფილი თანხა შეადგენს 24 000 ლარს. თანხის მთლიანად ასათვისებლად განხორციელდება კიდევ ერთი პროექტი (გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა) აღნიშნულ პროექტებზე დაიხარჯება პირველი პროექტიდან დარჩენილი თანხა-14825 ლარი.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 05 მარტის N14 განკარგულებაში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

**მოისმინეს: 2.** ქ. თელავში, ქეთევან წამებულის ქ. N7-ის ამხანაგობის თავმჯდომარის სვეტა ნინიკელაშვილის განცხადების განხილვის შესახებ.

**აზრი გამოთქვეს:** დავით ღაღანიძემ აღნიშნა, რომ განცხადების ავტორი ითხოვს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მხრიდან თანადაფინანსების პროცენტების შემცირებას.

მან განმარტა, რომ საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილების ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მხრიდან თანადაფინანსების პროცენტების შესახებ" მიღებამდე, კომისიამ იმსჯელა მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაძლებლობების გათვალისწინებით ჩამოაყალიბა იმ სახით, რაც წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნულ დადგენილებაში (მხარდაჭერილი იქნა საკრებულოს წევრთა უმრავლესობით). შესაბამისად, საფუძველმოკლებულია საკითხის ხელახლა განხილვის აუცილებლობა. ასევე, მნიშვნელოვანია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აღმასრულებელი ორგანოს მოსაზრება.

კომისიის წევრები დაეთანხმნენ დ. ღაღანიძის მოსაზრებას და აღნიშნეს, რომ უნდა ეთხოვოს მერს თავისი მოსაზრებების წარმოდგენა, რის შემდეგადაც იმსჯელებს კომისია მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**გადაწყვიტეს:** ეთხოვოს თელავის მუნიციპალიტეტის მერს წარმოადგინოს მოსაზრება ქ.თელავში ქეთევან წამებულის ქ. N7-ის ამხანაგობის თავამჯდომარის ს. ნინიკელაშვილის განცხადებაში დასმული საკითხის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარე  დავით ღაღანიძე